

კავშირი ოჯახში ძალადობის (ფიზიკური, ფსიქოლოგიური და  
ვერბალური ფორმები) გამოცდილებასა და ცხოვრებით კმაყოფილებას  
შორის

ნინო ზედგინიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის სრული პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015 წელი

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი განიხილავს კავშირს ოჯახში გენდერის ნიშნით ძალადობის გამოცდილებასა (ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ვერბალური) და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის. ოჯახში ძალადობა აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს მსოფლიო მასშტაბით, რამდენადაც გენდერის ნიშნით ადამიანების დაყოფა და გამორჩევა, რომელსაც საბოლოოდ გენდერული უთანასწორობისკენ მივყავართ, თითქმის ყველა საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი. გენდერული როლის მიხედვით დაწესებული ქცევის მოდელებისა და მოლოდინების გამო მრავალუთანასწორობისა და დისკრიმინაციის შემთხვევას ვაწყდებით, განსაკუთრებით, ისეთი ტრადიციული კულტურის მქონე ქვეყნებში, როგორც, მაგალითად, საქართველოა, სადაც პატრიარქალური ნორმები დომინირებს და ოჯახში ძალადობაზე საუბარი, ან გარკვეული ზომების მიღება კვლავაც ოჯახის საქმეში ჩარევად ითვლება, რის გამოც მსხვერპლის მიმართ ნაკლები, არასაკმარისი მხარდაჭერა შეინიშნება.

აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენს ისეთი ემპირიული მასალის მოპოვება, რომელიც სწორ წარმოდგენას შეგვიქმნის ოჯახში ძალადობის გამოცდილების მქონე ქალების ცხოვრებით კმაყოფილებაზე.

დემოგრაფიულ კითხვართან ერთად გამოყენებული ქანა:

1. ფსიქოლოგიური ძალადობის განმსაზღვრელი კითხვარი (Psychological Maltreatment of Women Inventory, Tolman, 1995)

2. ცხოვრებით კმაყოფილების სკალა (The Satisfaction with Life scale, Pavot & Diener, 1993)

კვლევაში მონაწილეობამიიღო 18 წლის ზემოთ ასაკის, მდებრობითი სქესის, ოჯახში ძალადობის გამოცდილების მქონე 30-მა რესპონდენტმა. კვლევის მონაწილეთა გარკვეული ნაწილი წარმოდგენილი იყო ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებიდან, ხოლო

ნაწილითოვლისგუნდისპრინციპითიყო შერჩეული, საიდანაც რესპონდენტთა გარკვეული რაოდენობა კვლავაცმომალადესთან ერთად ცხოვრობდა.

კვლევის შედეგად მნიშვნელოვანი უარყოფითი კორელაცია დაფიქსირდა ცხოვრებით კმაყოფილებასა და ძალადობის იმ ფორმებს შორის, როგორცაა: ეკონომიკური ძალადობა,საერთო ძალადობა და იზოლაცია.ასევე, უარყოფით კორელაციაში აღმოჩნდა ცხოვრებით კმაყოფილება ფიზიკურ და ვერბალურ ძალადობასთან.აღნიშნული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით,ცხოვრებით კმაყოფილებასა და სექსუალურ ძალადობას შორის კორელაცია არ შეინიშნება.

სხვადასხვა კვლევის ფარგლებში მიღებულშედეგებზე დაყრდნობით ნავარაუდები უარყოფითი კორელაცია ცხოვრებით კმაყოფილებასა და ოჯახში ძალადობის გამოცდილებასთან დადასტურდა. გამონაკლისს წარმოადგენს სექსუალურ ძალადობასთან კორელაციის არარსებობა, რაც სავარაუდოდ, სირცხვილისა და შიშის გამო ფაქტის დამალვას ან უარყოფას წარმოადგენს. ხშირად ოჯახში ძალადობა არ არის სოციალურ პრობლემად აღიარებული, რადგან რეპუტაციის საკითხიუფრო მნიშვნელოვანია.შეგვიძლია ვივარაუდოთ,რომ არსებობს ტენდენცია, გარკვეულწილად ნორმად ქცეული ძალადობა კვლავ აღქმულ იქნას, როგორც ჩვეულებრივი მოვლენა. ამიტომ, უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ამ თემასთან დაკავშირებული,მიზანმიმართული კვლევები.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** გენდერი,ოჯახურიძალადობა, სუბიექტური კეთილდღეობა, ცხოვრებით კმაყოფილება.